ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.05.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 010/15

შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა ადვოკატმა წარმოადგინოს განქორწინების საქმეზე ორივე მხარის ინტერესები? მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ ორივე მათგანის ინტერესები დაიცვას ერთი და იგივე ადვოკატმა.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშნელოვანი საფრთხე.“

ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს ადვოკატის მიერ ერთ საქმეში რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა, თუ აღნიშნული კლიენტების ინტერესები ერთმანეთს არ შეესაბამება ან არსებობს ასეთის წარმოქმნის საფრთხე.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №015/10 მიუთითა: „კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს.“

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე იმპერატიულად ადგენს, რომ ადვოკატს უფლება არ აქვს კონსულტაცია გაუწიოს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე. ასევე, ადვოკატი, რომელიც პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს კლიენტებთან, ვალდებულია შეწყვიტოს საქმიანობა

ნდობის დარღვევისა და დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკის არსებობისას. ასევე, საქმისწარმოების იმ სტადიაზე, რომელზეც ამ კლიენტთა შორის წარმოიშობა კონფლიქტი

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი არაეთიკურად მიიჩნევს ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობას არამარტო იმ შემთხვევაში, თუ აშკარად სახეზეა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, არამედ, მისი წარმოქმნის საფრთხის დროსაც. ვინაიდან შეკითხვაში აღნიშნული გარემოებები ეხება განქორწინების საქმეს, სადაც, სავარაუდოდ, მხარეთა შორის არსებობს ისეთი ურთიერთბა, რომლის დროსაც ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე რეალურია და მაღალია ალბათობა იმისა, რომ განქორწინების პროცესის მხარეები ვერ შეთანხმდნენ გარკვეულ საკითხებზე, მიუხედავად მათი თანხმობისა, რომ ორივე მათგანის ინტერესები წარმოადგინოს ერთმა ადვოკატმა. ამიტომ, ადვოკატმა, სავარაუდოდ, თავი უნდა შეიკავოს აღნიშნულ საქმეზე ორივე მხარის წარმომადგენლობისაგან, რათა საფრთხის ქვეშ არ დააყენოს მისი ქცევის შესაბამისობა პროფესიული ეთიკის პრინციპებთან.

დასკვნა:

განქორწინების საქმეზე ერთი ადვოკატის მიერ ორივე მხარის ინტერესების წარმოდგენა, მიუხედავად მათი აღნიშნულზე თანხმობისა, სავარაუდოდ, წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს, რის შესაძლებლობას, გარდა ზოგადად, სხვადასხვა მხარის წარმომადგენლობის ფაქტისა, დამატებით ქმნის საქმის სპეციფიკა, რადგან სავარაუდოდ, მხარეთა შორის არსებობს ისეთი ურთიერთბა, რომლის დროსაც ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე რეალურია და მაღალია ალბათობა იმისა, რომ განქორწინების პროცესის მხარეები ვერ შეთანხმდნენ გარკვეულ საკითხებზე. შესაბამისად, ადვოკატმა, სავარაუდოდ, თავი უნდა შეიკავოს აღნიშნულ საქმეზე ორივე მხარის წარმომადგენლობისაგან, რათა საფრთხის ქვეშ არ დააყენოს მისი ქცევის შესაბამისობა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის ნორმასთან.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.